

ნახ. ვ. ლომუხანი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



№ 16 (1362) აგვისტო 1971

**სიანჭო** 

ბამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კპპ.

— ამ გაცხარებული მუშაობის დროს ასეთი  
ვაშაკაცები თბილისში საზამთროს რომ უიღით,  
სოფელში ვინ მუშაობს?  
— ჩვენ საზამთრო არღაღებავი გვაქვს.



— ასეთი ვაჭალი რომ ყოფილიყო სამოთხეში, ჩემო ვვა, ხომა ვერ შეამსდებოდა?

# კიდევ ხვით ნატირლები

## სიღვდრის ნატირალი პატიმარ სიძევა

ჰოი, ეგლა გაკლდა, შე უღმერთო, ღმერთმა შეგრიხსოს და შეგაჩვენოს! აი ხომ გამართლდა ჩემი წყევლა, — ჩაგვებს, ჩაგაუღებს, სიძე ჩემო. ჩამწარდა ჭიქების ჭახაჭუხი, კბილების კრაჭუნი, ქნევა მუშტის. საკმელებს გვიწუნებდი, მანდ რაღას ჭამ, გაზრდილო ტორტი და ფელამუშით. წვრილმან ხულიგნობას გიჩივიან, შენ კი მსხვილმანობას მუდამ ჩემობ. მართლაც და, წვრილმანი შენ თუკი ხარ, მსხვილმანი ვინაა, სიძე ჩემო! თმაზე ხელს ისვამდი წარამარა, ხუჭუჭა თმით კოხტა ჩანდი ბიჭი, ახლაც გადაისვი თმაზე ხელი, — უკვე გადაგზორებს, კრიჭი, კრიჭი! ქმარს გდარდობს, დაგტირის ჩემი შვილი, გული დაუჭკნე და გაუყავი. სატირელ-სადარდელი მანდ არა ხარ, სატირელ-სადარდელი აქ იყავი. ხომ გითხარ მოიმი ბოლოს-მეთქი, რაც გინახავს, გიბარავს, გითესია. დღეებო, გადიდლით, გადიდლით, გა... სიძე-ვაჟბატონი ციხეშია. შვილი მეცოდება, ჩემი შვილი, სიძე, ჯანდაბაში შენი თავი. კიდევ არ იქნები კკუიანად? ვაი შენ, ვაი შენ, ვაი, ვაი!

## ნატირალი მესუთეა ჩაბრილ აბიტურიენტზე

ოხ! ოხ! ოხ! რა გიყოთ, რა ვიღონოთ, ვისთან გავაბილიოთ საქმე შენი!

არ შეგვჩა პირუტყვი, პური, ღვინო, გავჭრით, გავნიორწყულით, გადავშენდით.

ხუთჯერ მოგამზადეთ ლექტორებთან, ხუთჯერ გავვატყავეს იმ ოხრებმა. მათ რა ენაღვლებათ, რა აწუხებთ, ყველა ჩვენი შრომით იცოხნება.

რაფერ მოგამზადებს, რა გასწავლეს, ჩაქრას მოგამზადება განა უნდა? იქნებ დავიღუპეთ: ტვინი გქონდა და ამდენ მზადებით გადაბრუნდა? წერაში როგორღა ჩაიჭერი, წერა შენ რომ იცი, ასე უნდა! ისეთებს გვწერ ხოლმე, შენი ცოდვით ქვაც ტირის, ვით მზეზე თოვლის გუნდა.

შენმა კლასელებმა დაამთავრეს, სოფლად ჩამოვიდნენ სწავლულები, შენ კი დაყოლობ ქუჩა-ქუჩა, ამბობ მრცხვენიაო, არ ბრუნდები.

ჰოი, შენ რა იცი სირცხვილისა, უკვე მიეჩვიე ჩვენგან რჩენას. თუ ცდი შეეჭვსედაც ჩაბარებას, სახლში ნაცარიც კი არ დაგვრჩება. ვაი შენს გაჩენას, ჩვენს გაჩენას!

## ღის ნატირალი კომბინატორ ძმაზე

ვაიმე, ძმაო, ჩემო ძმაო, ცეცხლი მიკიდა გაუმქარალი, — როგორ ჩამამწარე ყველა ღბინი, ყველა ღლეობა და საჩუქარი. ვოლგით მოდიოდი ჩემთან სტუმრად, დოსტი ცხრა მოგდევდა ვოლგისა.

თავს ვერ მოუარე, ვაი, ძმაო, ჩვენ კი გვიბატრონე, მოგვიარე. ფულს გადმოგვიგდებდი კონა-კონად შენს ღარიბ ძმასა და დაიკონებს. კომბინატორობას გაბრალდებენ, ეს რა გავიგონე! ბაღს კომბლეს ზღაპარი კი გიყვარდა, კობრების დაჭერაც მდინარეში, კომბინატორობაც თუ გიყვარდა, ვერ წარმოვიდგენდი მე ჩემს ღღეში. დედა, დედა, დედა, ეს რა მოხდა, ღამე გავითენდა რა წყულო! აგარაკს იცვლიდი აგარაკზე და მანდ როგორ გაძლებ დამწყვედული? ვაიმე, ვაიმე, ძმაო ჩემო!

## ნატირალი თბილისის „ღინამოს“ ფეხბურთელებზე

მდინარეს ჰგავდით მძლავრს და მჩქეფარეს, კავკასიონის მაღალ მთისასა; მდინარეს ჰგავდით კლდეზე მუეფარეს, ვერ გასავალსა მეტოქისასა. სიათას ჰგავდით მიწაში მტყორცნელს, ჩვენს მამაპაპურ, მარჯვე სიათას; მრავალჯერ გაქეთ, მრავალჯერ გკოცნეთ, სულ თქვენთვის ვკრფვდით ვარდთა, იათა. ხმაღს ჰგავდით გამჭრელს, გამტევს და გამტანს,

ხალიბთა რვალის ჭრა და ფვა გქონდათ, და შემოგქონდათ ღბენა ჩვენს გულში, მეტოქის კარში ბურთი გაგქონდათ. ამირანისას ხელს ჰგავდით უღრესს, ერთ მუშტად შეკრულს ღონით და ჭკუით. ყველაფერს ჰგავდით, რაც კი კარგია, ახლა რას გავხაროთ, უიმე! უი!

# განყოფილების გამგე ვარ

მართალია მთელს განყოფილებაში სულ ორნი ვართ, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მეტი არც არის საჭირო. რაც მეტია ხალხი, მით მეტია ჭირიც, ლხინიც, შუღლიც, ჭორიც, ინფარქტიც და ტვინში სისხლის ჩაქცევაც.

მე განყოფილების გამგე ვარ, მეორე — ჩემი მოადგილეა. კაი ოცდაათმეტი წელია ამ სისტემაში ვმუშაობ. მარტო ის კი არ ვიცი რას ვაკეთებ, ისიც — როგორ ვაკეთებ.

ჩემს უფროსებს უჩემოდ ერთი დღითაც ვერ წარმოუდგენიათ წარმოების ავ-კარგი.

მთელი ჯალალდები ჩემს ხელთა და არც არავის ვახედებ შიგ. იმიტომ კი არა, რომ არ ვანდობ ან ვერ გაერკვევიან და საქმეს თავსა და ბოლოს ვერ გაართმევენ, პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ძალიანაც კარგად გაერკვევიან, იქნებ ჩემზე უკეთესად და მეტე აბა რაღა საჭირო ვიქნები!

რამდენი ხანია საპენსიო კაცი ვარ და ვერ ბედავენ ჩემს გაშვებას. მეც თავი დაეფასე და ამდენივე ხანია ყასიდად სულ იმას ვიძახი — აღარ შემიძლია, პენსიაზე უნდა გავიდე-მეთქი.

ჩემი უფროსი ისეა შეშინებული სამსახურში გამოსვლა არ გადაიფიქროსო, რომ მისი მძლოლი ყოველ დღით ბინაზე მაკითხავს და მანქანით მიყვავარ.

სახლში-ორნი ვართ: მე და ჩემი ცოლი. შვილი არა გვყავს და არც არასოდეს გვქონია სურვილი გვყოლოდა. ბავშვებს ვერც მე, ვერც ჩემი ცოლი ორგანულად ვერ ვიტანთ. ისე, მეზობლების თვალის ასახვევად მათი ბავშვებისათვის ყოველთვის გვაქვს სახლში 23-კაპიკიანი წუწნა კანფეტები.

ტელევიზორი არა გვაქვს. მე და ჩემი ცოლის აზრით იგი ახალგაზრდების საქმეა. ეს ტექნიკური სიახლე ჩვენამდე არ დადის, თანაც გამოსხივებას ვერიდებით. არავითარი სურვილი არა გვაქვს მოვისწრაფოთ სიცოცხლე.

არც წიგნების კითხვით ვილაშობთ თვალებს. ჩვენს ოჯახში ერთ წიგნსაც ვერ იპოვით წამლად. ჩვენ, მე და ჩემი ცოლმა, ახალგაზრდობაში, როცა საქმე არაფერი გვქონდა, საკმარისად ვიკითხეთ. ზოგი მწერალი თვითონ წავგივითხავს, ზოგს გადმოცემით გავცნობივართ, რამდენი ნაკითხი და განათლებული კაცი შეგვხვედრიო, ზოგზე ყური მოგვიკრავს, ჰოდა, მეტი არც არის საჭირო.

ისე მთლად უწიგნურებიც არ გვეგონოთ. გაზეთებს სისტემატურად ვკითხულობთ, თანაც ცენტრალურს, ადგილობრივი ამბები ნაკლებად გვინტერესებს. ზოგჯერ ჟურნალებსაც გადავხედავთ. მე და ჩემს ცოლს განსაკუთრებით გვიყვარს „ოგონიოკის“ ბოლოს კროსვორდების ამოხსნა.

ამ გახსენებაზე იმასაც გეტყვით, რომ სულ ახლახანს, წლების მანძილზე ნაგროვები წამლების ცარიელი ბოთლიკები და მალამოების ქილაკები გავყიდეთ. სწორედ გითხრათ, ძალიან გავვიჭირდა მუშტრის პოვნა, გადაყრით კი ვერ ვავიძებთ, რაც არ უნდა იყოს. თავის დროზე, თითოეულ ბოთლიკაში ფული მიგვიცია.

გული მწყდება, რომ ღვინოს არ ვსვამ და ცარიელი ბოთლები არ მიგროვდება, თორემ ღვინოს ცარიელ ბოთლებში კარგად იძლევიან.

სადამორობით მე და ჩემი ცოლი „ღურაჩკას“ ვთამაშობთ. ჩემდა იღბლად ისეთი ცოლი შემხვდა, რომ ბანქოს თამაშში უნიჭოა და სულ ვუგებ, თორემ ნერვულობა გულზე გამხეთქავდა და ღამით ძილს არ მომცემდა. ხანდისხან თუ წავაგებ მოსაჩვენებლად, რაც არ უნდა იყოს, ჩემი ცოლია და ყოველთვის გულნატკენს ვერ დავტოვებ. არ ვიცი ჩემი ცოლი ჩემს ამ დიდსულოვნებას და კეთილშობილებას ხვდება თუ არა, მაგრამ მე, როგორც ცოლის მოყვარული და დამფასებელი, ჩემსას ვაკეთებ, შემდგომ სინდისის ქენჯნამ რომ არ შემაწყუბოს.

გაზაფხულზე ზამთრის პალტოს ვახდას არ ვჩქარობთ, სანამ ყველა არ გაიხდის, ჩვენ პალტოებში დავდივართ. რაღა ჩვენ, დაე, სხვები გამოიყურებოდნენ საცოდავად და სასაცილოდ, ხოლო შემოდგომაზე საკმარისია ერთი კაცი გამოჩნდეს ზამთრისპალტოიანი, რომ ჩვენ თავის გასამართლებელი გვაქვს თუ რატომ ჩავიცვით დაბამბული პალტოები და კალოშები.

რეპროდუქტორი დღე და დამე ჩართული გვაქვს. ყველა გადმოცემას ერთნაირი ინტერესით ვისმენთ, იქნება ეს აღმოსავლური მწოდლები, თუ დასავლეთის კლასიკური მუსიკა, რაიმე ინფორმაცია თუ გადმოცემა სპორტზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ამინდზე გადმოცემასადმი ვიჩენთ. რეპროდუქტორის ლაპარაკს ისე ვარ მიჩვეული, რომ როცა სდუმს, ასე მგონია სახლი ცარიელია, ესეც რომ არ იყოს, რამდენსაც ვიხდი იმდენი ხომ უნდა ვალაპარაკო!

არ ვიცი კიდევ როდემდე შევიწარხუნებ ჩემს პოსტს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, სანამ სული კბილით მიჭირავს, ცოცხალი თავით ჩემს ადგილს არავის დავუთმობ.

პენსიაზე რომ გავიდე, მთელი დღე, ჩემს ცოლთან პირისპირ რა დამსვამს, სხვა რომ არა, მოწყენილობა მომკლავს, სამსახურში ხომ ცოტას მაინც ვერთობი.

მირიან ლეშავა

## ვედრება


რამდენი ხანია შენთან მოსვლა მინდა. მოვალ, დავინახავ შენს გარშემო შემოკრებილებს, ბუზებივით რომ გახვევიან თავზე, და დამწუხრებული მივდივარ უკან. გავადრო და ისევ მოვდივარ, ვერ ვითმენ, მოვდივარ, რათა წოვიხადო ჩემი ადამიანური ვალი, ვითხრა გულის ხვა-შიაღი, მაგრამ ისევ გტოვებ, ვერ იქნა და ვერ დაგიმართოვე. ყოველ ნახვაზე ახალი ჯავრი მემატება, შენ ჯერ არც კი იცი რამდენი პროცენტით გაიზარდა ჩემი მწუხარების საბაბი. ერთხელ სამი საათი გელოდე, მეორედ — ოთხი, მაგრამ მაინც ვერ მოვალწიე შენამდე.

ყოველ მოსვლაზე სულ სხვადასხვა ხალხს ვხედავ შენს ოთახში. ჯავრმა წაიწო, მოთმინება დამეკარგა, ვერ იქნა და ვერ გამოილია უცნობთა რიგი, პირიქით, უფრო მატულობს. მინდა მოვიდე, ვიყვირო, ქვეყანას გავაგებინო, ჩემი მწუხარება, მაგრამ მეხატრება. თათქმის ამომეწურა შენი მარტოდ ნახვის იმედი; თუ არა ჩემი ადამიანური გული, დიდი ხანია ხელს ჩავიქნევდი, გაცვილდებოდი, მაგრამ რა ვუყო, ხუთი თვის ბინის ქირას, გადასახდელი რომ მაქვს და იმ პროცენტებს, ყოველდღიურად რომ იზრდება.

იწამე ღმერთი, როგორმე მიმიღე, მიიღე სამი თვის ბინის ქირა და მომამორე გულზე ლოდვიით ჩამოკიდებული ვალი.

ვალერიან მამუკელაშვილი

ნახ. დ. ერისთავისა



— როგორ გეღვთ საუშაოზე ასე მოსვლას?  
— სამი შარვალი მქონდა — ერთი ცოლმა ჩაიწვა, ორი კი — ქალიშვილებმა და რა მქნა.





— გაუქმდით, გიჟებო, ჰიკენას, ორ დღეში დამსაჯრდებო კვირეული.

სალამი, ჩემო ცოლ-შვილო, წერილს გწერ აგარაკიდან, მალარიის ვიხდი, ცოცხალი თუ დაგიბრუნდით თხუთმეტ კვადრატულ ოთახში დგას ექვსი კაცის საწოლი (აქ არ წამოვა, ვისაც ჰყავს ერთგული შვილი და ცოლი) სადილობამდე კარგად ვარ და ცუდად ჰხოლოდ მერე ვარ, მენიუს როცა ვიგონებ, წინასწარ გული მერგვა: საუზმედ — როგორც ყოველთვის, არის ცომ-ცომი კატლეტი, თუკი შექამა ბოლომდე, ვერ მოინდლებს ათლეტი. სადილად — უკარტოფილოდ „ბორშის“ და მღვრიე „შჩის“ ელი, მეორე — გახლავთ კატლეტი, მაგრამ იგივე უნიციელი. თუ ლუკმა პირში ჩაიდე, აღარ გადადის სახაში, კიდეც კარგი, რომ იქვეა, კაფე, სამწვადე, სახაზე. სანამდე ვისადილებდე, „ტაბლეტი“ წამალს უწინ ვსვამ, ან მომკლავს მუცლის ტკივილი, ან მომიწინებებს კუჭის წვა. სულ მესიზმრება ღამ-ღამით მჭადი, პრასი და სალათა... მოკლედ, ჩემს დასვენებაზე დაიწერება ბალადა. იმის ოჯახი დაიქცეს, ვინც მე მიშოვა საგზური, ყველას ჰგონია ზღვაზე ვარ დასასვენებლად წასული. ზუსტად ვარ, მტკივა გულ-ღვიძლი, რაღაც საეჭვოდ მახველებს, ჰა, დროზე ჩამომაკითხეთ, სანამ სხვა გამომახველებს!

შანო ცინცაძე

უფლებს არ მამუს თუ რა

საათის ისარი ოთხს აჩვენებდა, რომ დავამთქნარე. ამასთან დაკავშირებით, გამახსენდა, რომ დღეს უეჭველად უნდა გადამეხალა ბინის ქირა. ჩემს უფროსს არაფერი არ ვუთხარი, ან რა უნდა მეთქვა, ნახევარი საათის გულისთვის ანგარიშს ხომ არ ჩავაბარებდი. კარი დავკეტე და ქუჩაში გამოვედი. ბინის ქირის გადასახდელი ქვითარი კი დიდი ხანია, რაც გამითავდა და ამიტომ პირველ რიგში სახლმმართველობას მივაკითხე.

— ბუღალტერი ახლახან გავიდა, მალე მოვა! — მანუგეშა მდივანმა. „უსაქმური“, გავიფიქრე მე. ერთი მოვიდეს, რა დღეს დაეყრი.

გავიდა ნახევარი საათი და მართლაც გამოჩნდა ბუღალტერი.

— ხალხი გელის! — უსაყვედურა მდივანმა.

— დიდი ამბავი! — გაიკვირვა მან. — რა იყო, არ მაქვს უფლება ნახევარი საათით გავიდე?

მე მინდოდა რაღაც მეოქვა. მაგრამ ჩხუბს და აყალმაყალს

ისევ მშვიდობიანად გაცლა ვამჯობინე, წიგნაკი გამოვართვი და წავედი შემნახველ სალაროში. მოლარე ადგილზე არ დამხვდა.

— აი, ახლახანს გავიდა და მალე მოვა! — მანუგეშეს მე. სხვა გზა არ იყო და კედელზე, შპალერის ნაცვლად გაკრული გავუთის კითხვა დავიწყე. ნახევარი საათზე ცოტა მეტ ხანში მოვიდა მოლარე. სალაროსთან რიგი იდგა.

— ხალხი გელოდება! — უსაყვედურეს მას.

— მელოდებიან და მელოდონ! — იფეთქა მან და გაბრაზებით გადმოგვხედა. ხმა არ გამიცია. ფული გადავიხადე და სამსახურში დაებრუნდი. ჩემს კაბინეტთან რიგი იდგა.

— რამდენი ხანია, გელოდებიან! — მისაყვედურა მდივანმა.

— მელოდებიან და დამელოდონ. რა, არ მაქვს უფლება ნახევარი საათით გავიდე? — მკვახედ ვუთხარი და კაბინეტში შევედი.

ანდრო კოკოლია



— უწინ ბავშვებს უგებდნენ კარზე, ახლა ნაგვის მოშლვებ დაიწყეთ.

— ახლაც ბავშვებზე მამან-ჯაცის არ იყვებით, ხომ ხელკმთ მთელი ბრძანა საკუთარი მანან-გით მოვიდა!





ატლანტიკური კავშირგაბმულობა.

საყვარელო

ნიანგო!

ტირიფონის არხის გაყვანისას სოფელ ერგნეთში, კასრანთ უბანში დიდი ხნის წინ ხის ხიდი იქნა აშენებული. (მამაზეც იყავი ააშენოს მისი აშენებელი) ეს ხიდი არხის მიერ ნიახურის თესლივით ორად გაყოფილ სოფელს ერთმანეთთან აკავშირებდა და ქვეყანაზე მადლსა სთესავდა. მაგრამ დრო-ჟამი ხეს კი არა, რკინას გამოუყვანს წირვას. ხიდი დაბერდა და მოსავლეჯი კბილივით დაიწყო ფამვალი. დიდი თხოვნისა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ გორის რაიონის წყალთა სამმართველომ ყურადილო ერგნეთელების თხოვნა და საბუნსიო ხილს იმდენი ახალი ხე-ტყის მასალა მოაყარა, რომ ადამიანის თვალი უკეთეს სანახავს ვერას ნახავდა. შეუტრეს ღურგლებმა, გაუტრეს მუშებმა, ტკბილი ნანასავით გვესმოდა ხერხის დავლური და შალაშინის ლეკური, გაპკრეს-გამოპკრეს, გასკრეს-გამოსკრეს, გახედ-გამოხედეს და წავიდნენ. მაგრამ მოხდა საკვირველება-ხეტყის იმ ახალი მასალიდან ჩვენი თვალისათვის შესამჩნევი ხილს არაფერი დააჩნდა. (არ ვიცი თვალი გვატყუებს და არ ვიცი ვილაცა) ალბათ მაგის მიზეზია, რომ ძველი ფიცრებით დაკოწიწებული ხიდი ისევ ისე ძაგაძგებს და ისევ ისე კანკალებს. მასზე გვალას იმას ვუსურვებთ, ვისაც ამქვეყნიური ყოფნა ლობიოს ჭამასავით მობეზრებული აქვს.

ნიანგო, იქნება შენ მაინც შეატყობინო იმათ, ვისაც ამ ხილის ყოფნა-არყოფნა ეხებათ, რომ თუ ერგნეთში მოუხდებათ ყოფნა, ამ ხილზე ნუ შედგებიან, ნუ ჩააცმევენ უღროთ დროს ახლობლებს შავებს, ნუ გასწირავენ თავს რალაცა ხე-ტყის გულისთვის.

3. კახელიზვილი



მთავარი რედაქტორი ნოდარ ლუმაბაძე

სარედაქციო კომპლექსი: ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, ზ. ნიშნიაშვილი (მთავ. რედ. მორადგილე), ნ. შველიძე, ი. ზვილიძე.


საბირისა და იუმორის შურნალი „ნიანგო“.

თბილისი, რუსთაველი: პროსპექტი № 42. Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нянгги». ტელ. რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

გადაცემა ასაწყობად 26/VII-71 წ. ხელმოწერილი დასაბეჭდად 12/VIII-71 წ. ძალაღღის ზომა 70x108 1/8. ფიზიკური ნაგავი ფურცელი 1, საარტიკლბო-საგამომცემლო თაბანი 1,4. სამ. კვ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД.-ВА ЦК КП ГРУЗИИ ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14. შიპს. № 2760. ში № 06134. ტირაჟი 128.400.



კლუბო ჩემო

(სოფელი ომალო, ახმეტის რაიონი)

პანკისის ხეობაში ჩვენი სოფელი — ომალო, იქნება ნიანგის თვალი ჩვენს თემსაც მიავლ-მოავლო. ვნატრობდით კლუბის აგებას, ვხვეწდით ხმასა და კილოსა, (ერთმანეთს მაინც ვნახავდით, თუ ვერ ვნახავდით კინოსა). ფუძე რომ ამოაშენეს მას უკან ათი წელია, სიმღერა „კლუბო ჩემო“ ბევრჯერაც დაგვიმღერია. სად და ვის აღარ ვასმინეთ 400 კომლის მუდარა, (ზოგისთვის ხომ სულერთია ხმას ამოიღებ თუ არა).

დამი ლანდია

ახარელები.

ბაკათი

აბანოსხევიდან

(დუშეთის რაიონი)

სათქმელი ერთად შევკონეთ ქალის, კაცის და ბავშვისა, ჩამოგეყაყავთ წვრილ-წვრილად, შენ თუ არ გეტყვით, მამ ვისა...

ჩერ იყო ფურნე მოშადეს (რა პურს ვაცხობდით, შვილსა!),

მერე მოდგნენ და შემოსწყრნენ მუშათა სასადილოსა.

ხერხი ჩვენც გვიჯობს ღონესა (როდი გვღალატობს გუმანი), დაჭირავებულ სახლში გვაქვს ჯანდაცვის მიკრო უბანი.

კლუბის და ბიბლიოთეკის საქმეც ვერ მოგვარესა, უკლუბოდ შტატს ვინ

გვაღირსებს, უწინგოდ კიდეც გამგესა?

ახალს ვინ ჩივის, ძველიც კი აღარ გვიჭირავს ხელშია,

აბანოს გააუქმებდა კაცი აბანოსხევიშია?

თბილ შხაპს სიწმარში თუ ვნახავთ,

„თბილწყალსადენის“ შეწევნით, ღამ-ღამობით კი ელექტრო-ეკონომიას ვეწევით.

ჩვენს თხოვნა-ხვეწნა-მუდარას განა დაიტევს ქალაქი?

თუ ძმა ხარ, არაგვისპირისა ამაჰყევ, შენი ქამინდით...

ბარათი ნიანგის ყურამდე მოიტანა ზაზა პაციანაშვილმა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

11  
1971

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ნ.ბ. დ. პრინციპალი

КОНТРОЛЬНЫ  
ЭЛЕМЕНТАРЫ

— მე ნუ მიტაცებთ, ბიჭო  
ჰარ. ჰოგო ის არის, რომ გარ-  
ბის.